საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი)

ბიოტექნოლოგია

მაია ხურციძე

ქრისტესისხლას (*Chelidonium majus*) ქიტინ-სპეციფიკური ლექტინის ბიოქიმიური თვისებების, ფიზიოლოგიური როლისა და ბიოლოგიური აქტივობის შესწავლა

ბიოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

მიმართულება 05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
დარგი/სპეციალობა 0504 ბიოლოგია/სიცოცხლის
შემსწავლელი მეცნიერებანი

თბილისი

2017 წელი

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოტექნოლოგიის მიმართულებაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **გიორგი ალექსიძე**
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ოფიციალური ოპონენტები: **1. ზურაბ ლომთათიძე**
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

2. ელენე დავითაშვილი
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დისერტაციის დაცვა შედგება 2017 წლის „10“ თებერვალს 14^{00} საათზე, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: 0162, თბილისი, ილია ჭავჭავაძის №53ა, მე-2 კორპუსი, ილია ვეკუას სახ. აუდიტორია №104.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2017 წლის ,,10'' იანვარს.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი

ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

თეიმურაზ კივილაძე

სარჩევი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა ----------4
კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები ----------5
ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები ---------6
კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები -------7
ნაშრომის თეორიული ღირებულება ----------8
ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა ----------8
ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა----------8

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა ----------9
თავი II. კვლევის ობიექტი და მეთოდები ----------9
თავი III. კვლევის შედეგები და მათი განხილვა ----------10
დასკვნები ----------19
დისერტაციის თემასთან დაკავშირებული
პუბლიკაციების ნუსხა ----------21

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა

ლექტინოლოგია წარმოადგენს თანამედროვე ბიოლოგიის ერთ-ერთ ახალ და სწრაფად განვითარებად მიმართულებას. იგი შეისწავლის ნახშირწყლებთან და რთული ნახშირწყლების შემცველ გლიკოკონიუგატებთან შერჩევითად და შექცევადად დაკავშირების უნარის მქონე, სტრუქტურულად მრავალფეროვან, თუმცა უნიკალური ცილების ჯგუფს - ლექტინებს. ლექტინების უნიკალურობას განაპირობებს მათი უნარი მოახდინონ გლიკოკონიუგატების (გლიკოპროტეინები, გლიკოლიპიდები, ოლიგოსაქარინები და სხვა) რთული მოლეკულების შემადგენლობაში შემავალ ნახშირწყლებში პირველადი და მეორეული სტრუქტურის სახით ჩაწერილი ინფორმაციის დეკოდირება და ამ ინფორმაციის გადაყვანა შესაბამის ბიოლოგიურ ენაზე. ლექტინების ეს უნიკალური თვისება საფუძვლად უდევს მცენარისათვის ისეთ სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე პროცესებს, როგორიცაა: განაყოფიერება, ზრდა-განვითარება, გენეტიკური აპარატის ფუნქციონირების რეგულაცია, ფოტოსინთეზი, მიტოქონდრიული სუნთქვა, ნივთიერებათა ტრანსპორტი, სიმბიოზი, ფიტოიმუნიტეტი, და სხვა. (W. peumans, Van Damme 2000).

განსაკუთრებით აქტუალური და პერსპექტიულია ასევე ლექტინოლოგიის განვითარება გამოყენებითი მიმართულებით სამეცნიერო ლიტერატურა გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ტიპის ლექტინებს, შეუძლიათ გამოავლინონ განსხვავებული ბიოლოგიური აქტივობები. გამოვლენილია, რომ მცენარეული ლექტინები იწვევენ, ცხოველური უჯრედების პროლიფერაციას ან პირიქით პროლიფერაციის დათრგუნვას, გააჩნიათ იმუნოტროპული და ჰორმონების მსგავსი ეფექტები, გარკვეული ტიპის ლექტინები იწვევენ აპლაზიური და ინფიცირებული უჯრედების აპოპტოზს, გამოვლენილია მათი ანტიოქსიდანტური, ანტიბაქტერიული, ანტისოკოვანი, ანტივირუსული მოქმედების უნარი და სხვა აქტივობები (Charungchitrak et.al 2011).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მცენარეულ ობიექტებში ახალი ლექტინების გამოვლენა, მათი ფიზიოლოგიური როლის

და ბიოლოგიური აქტივობის შესწავლა, წარმოადგენს ფუნდამენტური და გამოყენებითი ბიოლოგიის, ბიოტექნოლოგიის, სოფლის მეურნეობის, მედიცინისა და მეცნიერებათა სხვა დარგების ერთ-ერთ აქტუალურ მიმართულებას.

კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები

მიზანი: სადისერტაციო ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა, საქართველოში გავრცელებული, უნიკალური სამკურნალო მცენარის ქრისტესისხლას (*Chelidonium majus*) ახალი ლექტინები, მოგვეხდინა სხვადასხვა ორგანოებიდან მათი გამოყოფა, იდენტიფიკაცია, ბიოქიმიური დახასიათება, ბიოლოგიური როლისა და ბიოლოგიური აქტივობის შესწავლა. აღნიშნული, ერთის მხრივ, გააფართოვებდა წარმოდგენებს მცენარეული ლექტინების ბიოლოგიური როლის შესახებ და მეორე მხრივ შექმნიდა წინაპირობას მისი სოფლის მეურნეობაში, ბიოტექნოლოგიაში, ბიომედიცინასა და მეცნიერების სხვა სფეროებში მათი გამოყენების პერსპექტივას.

ამოცანები: სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზნის განსახორციელებლად დასმული იქნა შემდეგი კონკრეტული ამოცანები.

- გამოგვევლინა მცენარე ქრისტესისხლას ლექტინური აქტივობის მქონე ცილები;
- შეგვესწავლა მათი შემცველობა მცენარის სხადასხვა ორგანოთა ქსოვილებში;
- დაგვედგინა მათი რაოდენობრივი შემცველობა, მცენარის ფიზიოლოგიურად მკვეთრად განსხვავებულ ორგანოთა ქსოვილებში;
- დაგვემუშავებინა მცენარე ქრისტესისხლადან ლექტინის ინდივიდუალური მოლეკულების სახით გამოყოფისა და გასუფთავების მეთოდები;
- შეგვესწავლა გასუფთავებული ლექტინის ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები;
- მოგვეხდინა ინდივიდუალური მოლეკულის სახით გასუფთავებული ლექტინის ბიოქიმიური თვისებების შესწავლა;

• შეგვესწავლა ქრისტესისხლას თესლის ლექტინის ანტიბაქტერიული აქტივობა, ფიტოპათოგენურ ბაქტერიულ კულტურებზე;

• შეგვესწავლა ქრისტესისხლას თესლის ლექტინის ანტისოკოვანი აქტივობა პათოგენურ ტესტ-კულტურებზე.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები

ჩვენს მიერ დამუშავებული მეთოდით, საქართველოში ფართოდ გავრცელებული უნიკალური სამკურნალო მცენარე ქრისტესისხლადან (*Chelidonium majus*), გამოყოფილი და იდენტიფიცირებულია ახალი ქიტინ-სპეციფიკური ლექტინი (CBL).

შესწავლილია ხსნადი CBL-ის განაწილება ქრისტესისხლას ფუნქციურად განსხვავებულ ორგანოებში და მათი შემცველობის დინამიკა, თესლის აღმოცენების პროცესში, მათი ფიზიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით.

შესწავლილია ქრისტესისხლას თესლის გაღივებული და გაუღივებელი თესლებიდან, გარემომცველ არეში სეკრეტირებული CBL-ის ჰემაგლუტინაციური აქტივობა, შაქრების მიმართ სპეციფიკურობა, ანტიბაქტერიული და ანტისოკოვანი მოქმედება. ნაჩვენებია, რომ CBL-ის ყველაზე მაღალი შემცველობით გამოირჩევა თესლი.

დადგენილია ქრისტესისხლას ორგანოებიდან, CBL-ის საექსტრაციო ხსნარის ოპტიმალური შემადგენლობა და ექსტრაქციის ოპტიმალური დრო. პირველად სამი განსხვავებული მეთოდით (სინათლის მიკროსკოპით, პლანშეტებზე მიკროტიტრაციის და ფოტოკოლორიმეტრული), გამოვლენილია ქრისტესისხლას თესლის ლექტინის ანტიბაქტერიული და ანტისოკოვანი თვისებები.

ნაჩვენებია, რომ 20 განსხვავებული ტიპის ნახშირწყლიდან, ქრისტესისხლას თესლებიდან იზოლირებული ლექტინი, სპეციფიკურობას ავლენს ქიტინის მიმართ, ე. ი. ის მიეკუთვნება ქიტინ-სპეციფიკური ლექტინების ჯგუფს.

ქიტინ-სპეციფიკური ლექტინის, ფიზიკო-ქიმიური თვისებების შესწავლამ გამოავლინა, რომ მისი ნატიური მოლეკულის მეოთხეული სტუქტურა წარმოდგენილია დიმერის სახით, მისი მოლეკულური მასა 34 kDa-ია, შედგება 2 თანაბარი 17 kDa მოლეკულური მასის მქონე სუბერთეულისაგან, არ შეიცავს ნახშირწყლებს და მიეკუთვნება ჰოლოლექტინების კლასს.

ქიტინ-სპეციფიკური ლექტინის ბიოქიმიური თვისებების შესწავლის შედეგად, დადგენილ იქნა, რომ ლექტინი თერმოსტაბილურია (ინაქტივირდება 60^0C-ზე) და ხასიათდება მაღალი ჰემაგლუტინაციური აქტივობით. ლექტინური აქტივობა ვლინდება pH 5.5-დან pH 9.0-ის ფარგლებში. მაქსიმალური აქტივობა აღინიშნება pH 7.0-8.0 დიაპაზონში. ლექტინის ჰემაგლუტინაციურ აქტივობაზე გავლენას არ ახდენს ორვალენტიანი მეტალის იონები (Ca^{2+}, Mg^{2+}, Mn^{2+}).

ნაჩვენებია, რომ ლექტინი CBL ხასიათდება ანტიბაქტერიული აქტივობით სხვადასხვა ფიტოპათოგენური ბაქტერიების მიმართ და იწვევს მათი ზრდის შეკავებას, ინჰიბირებას. ასევე შესწავლილი იქნა CBL-ის ანტისოკოვანი თვისებებიც, თუმცა ის შერჩევითად მოქმედებს სოკოებზე მათი ჰიფების აგლუტინაციის გზით.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენდა, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმართვა, როგორც ფუნდამენტალური ასევე გამოყენებითი მიმართულებით.

სადისერტაციო ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს წარმოადგენდა: ბიოქიმიის, ბიოფიზიკის, ბიოტექნოლოგიის, იმუნოლოგიის და მიკრობიოლოგიის კვლევის უახლესი თანამედროვე მეთოდები. კვლევებში გამოყენებული იქნა: ცენტრიფუგირების, კოლორიმეტრული, სპექტროფოტომეტრული მეთოდები; ლექტინური აქტივობის და უჯრედების აგლუტინაციის განსაზღვრის მიკროტიტრაციის, მიკროსკოპული და ფოტოკოლორიმეტრული მეთოდები; მაღალი წნევის გელფილტრაციული ქრომატოგრაფიის, აფინურ სორბენტებზე აფინური ქრომატოგრაფიის მეთოდები; პრეპარატული და

ანალიზური ელექტროფორეზი პოლიაკრილამიდის გრადიენტულ გელებში; ცილების შემადგენლობაში ნახშირწყლების განსაზღვრა ელექტროფორეზის და შიფის რეაგენტის გამოყენებით.

ნაშრომის თეორიული ღირებულება

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი შედეგები აღრმავებენ თეორიულ ცოდნას, მცენარეული ლექტინების ფიზიოლოგიური როლის შესახებ. მიღებული შედეგების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება მცენარეული ლექტინების დამცველობითი ფუნქციების შესახებ და ქმნის ფუნდამენტს მათი ამ კუთხით შესწავლისათვის. წარმოდგენილი კვლევის შედეგები აღრმავებს მეცნიერულ ცოდნას, ლექტინების ანტიბაქტერიული და ანტისოკოვანი მოქმედების მოლეკულური მექანიზმების შესახებ.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

სადისერტაციო ნაშრომში, ფუნდამენტური და გამოყენებითი მიმართულებით ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე, წარმოდგენილია მოსაზრებები საქართველოში გავრცელებული სამკურნალო მცენარე ქრისტესისხლას (*Chelidonium majus)* ქიტინ-სპეციფიკური ლექტინის, ფიზიოლოგიური როლისა და ბიოლოგიური აქტივობის შესახებ. კერძოდ, გამოთქმულია მოსაზრება ლექტინ CBL-ის ანტიმიკრობული და დამცველობითი როლის შესახებ და განიხილავს სოფლის მეურნეობაში მცენარეების ანტიმიკრობულ ბუნებრივ აგენტებად და კლინიკურ მედიცინაში ანტიბაქტერიულ და ანტისოკოვან სამკურნალო პრეპარატებად ლექტინების გამოყენების პერსპექტივას.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

დისერტაცია მოიცავს: შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, კვლევის ობიექტს და მეთოდებს, კვლევის შედეგებს და მათ განხილვას, დასკვნებს, გამოყენებული ლიტერატურის სიას (155 წყარო). იგი ილუსტრირებულია 10 ცხრილით და 24 სურათით. ნაშრომის მოცულობა 120 გვ.-ია.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

ლიტერატურის მიმოხილვაში წარმოდგენილია, მცენარეული ლექტინების ისტორიული მიმოხილვა და განმარტება, ლექტინების კლასიფიკაცია. განხილულია ლექტინების ბიოქიმიური თვისებები, ლექტინების სპეციფიკურობა ნახშირწყლების მიმართ, ლექტინების გავრცელება მცენარეებში, მათი განაწილება მცენარეთა ორგანოებსა და ქსოვილებში და მათი შემცველობის დინამიკა. წარმოდგენილია ლიტერატურული მონაცემები და სხვადასხვა კონცეფციები ლექტინების ფიზიოლოგიური როლის შესახებ მცენარეებში. წარმოდგენილია კვლევის შედეგები, ლექტინების ანტიბაქტერიული და ანტისოკოვანი აქტივობის შესახებ.

თავი II. კვლევის ობიექტი და მეთოდები

კვლევის ობიექტი. ახალი ლექტინების იდენტიფიკაცია, მათი ბიოლოგიური როლის და გამოყენების სფეროების შესწავლა ლექტინოლოგიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება. ამ მიზნით, კვლევის ობიექტად შერჩეული იქნა, საქართველოში საველე პირობებში გავრცელებული ყაყაჩოსებრთა (*Papaveraceae*) ოჯახის მეტად საინტერესო წარმომადგენელი სამკურნალო მცენარე ქრისტესისხლა (*Chelidonium majus*).

მედიცინაში ქრისტესისხლა ფართოდ გამოიყენება: კანის ტუბერკულიოზის, პოდაგრების, რევმატიზმების, ბებერების, ეგზემების, მეჭეჭების, კანის სიმსივნეების, სიფილისის, ფსორიაზის, მალარიის, მწვავე და ქრონიკული ჰეპატიტების, წითელი მგლურას სამკურნალოდ. გამოიყენება აგრეთვე თირკმლებისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებების, მსხვილი ნაწლავის პოლიპოზების, მენსტრუალური დაავადებების, ჰემოროების, თავბრუსხვევის, ძლიერი ხველების, თავის ტკივილების, და ართრიტების დროს. აფერხებს: ავთვისებიანი სიმსივნეების ზრდას, მეტასტაზების განვითარებას, კარგი

შედეგები აქვს გარეგანი სიმსივნეების, კერძოდ, ტუჩის, კანის, შარდგამომყოფი ხვრელის, საშვილოსნოს ყელის კიბოს მკურნალობაში. ქრისტესისხლას პრეპარატებს გააჩნიათ ფუნგისტატიკური და ბაქტერიოციდული მოქმედება თვით ტუბერკულიოზის ჩხირის მიმართაც და სხვა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, კვლევის ობიექტად შერჩეული იქნა ქრისტესისხლა.

კვლევის მეთოდები. ლექტინის ფიზიკურ-ქიმიური დახასიათების მიზნით გამოყენებულია: მაღალი წნევის გელ-ფილტრაციული ქრომატოგრაფიის, ნატიური და დისოცირებულ პირობებში ცილების გრადიენტული ელექტროფორეზის, შაქრების მიმართ სპეციფიკურობის დადგენის ჰაპტენ-ინჰიბიტორული (I. Liener 1976) მეთოდები.

ლექტინის შემცველობას და სპეციფიკურ აქტივობას ვსაზღვრავდით სამი განსხვავებული მეთოდით: ვიზუალურად იმუნოლოგიურ პლანშეტებზე ტაკაჩის (G.Takatsy 1967) მეთოდით, ჩვენს მიერ შემუშავებული ფოტოკოლორიმეტრული მეთოდით და სინათლის მიკროსკოპის გამოყენებით.

ქრისტესისხლას თესლის ლექტინის ანტიბაქტერიულ და ანტისოკოვან მოქმედებას, ვსწავლობდით დისკ-დიფუზიური (A. Bauer M. Kirby 1966) და ასევე ბაქტერიებით ლექტინების აგლუტინაციის მეთოდებით.

ექსპერიმენტებს ვატარებდით მინიმუმ 5 ჯერადი განმეორებით და კვლევის შედეგებს ვამუშავებდით სტატისტიკურად სტიუდენტის მეთოდის გამოყენებით.

თავი III. კვლევის შედეგები და მათი განხილვა

სამუშაოს საწყის ეტაპზე შესწავლილი იქნა ლექტინების შემცველობა ზრდასრული ქრისტესისხლას სხვადასხვა ორგანოებში (ყვავილი, ფოთოლი, ღერო, ფესვი და ღეროს წვენი).

ცხრილი 1. ლექტინების შემცველობა ქრისტესისხლას ორგანოებში

ქრისტესისხლას ორგანოები	საერთო ცილა მგ/მლ	ჰემაგლუტინაციის ტიტრი	ჰემაგლუტი-ნაციური აქტივობა მგ/მლ	სპეციფიკური აქტივობა მგ/მლ	ლექტინების შემცველობა (აგლუტ. ერთ.)
ყვავილი	-	-	-	-	-
ღერო	-	-	-	-	-
ფოთოლი	-	-	-	-	-
ფესვი	-	-	-	-	-
თესლი	**7.21**	**16 384**	**0.000022**	**2272.4**	**327 727**
ღეროს წვენი	-	-	-	-	

ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად დადგენილ იქნა, რომ ქრისტესისხლას ყვავილები, ფესვები, ღეროები, ფოთლები, ღეროს ნარინჯისფერი წვენი არ შეიცავს ჰემაგლუტინაციური აქტივობის მქონე ცილებს-ლექტინებს (ცხრილი 1). როგორც ცხრილში წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, ლექტინები წარმოდგენილია ქრისტესისხლას მხოლოდ ახლად მომწიფებულ თესლებში.

სპეციალურ ცდებში შევისწავლეთ ქრისტესისხლას ლექტინის (CBL) სპეციფიკურობა ნახშირწყლების მიმართ. საანალიზოდ გამოყენებული იყო 20 განსხვავებული ნახშირწყალი (D-გალაქტოზა, მეთილ-D-გალაქტოზა, N-აცეტილ-D-გალაქტოზამინი, D-მანოზა, მეთილ-D-მანოზა, D-გლუკოზა, მეთილ-D-გლუკოზა, N-აცეტილ-D-გლუკოზამინი, L-რამნოზა, L-ფუკოზა, D-გალაქტურონის მჟავა, ფრუქტოზა, ქიტინი, D-არაბინოზა, L-რიბოზა, D-მელიბიოზა, D-ლაქტოზა, D-მალტოზა, D-ტრეგალოზა, საქაროზა), საწყისი კონცენტრაციით 200 mM. დადგენილ იქნა, რომ შერჩეული შაქრებიდან ქრისტესისხლას ლექტინის ჰემაგლუტინაციური აქტივობა, კავდება მხოლოდ N-აცეტილგლუკოზამინის ოლიგომერების თანაობისას (ნაწილობრივ გასუფთავებული ქიტინის ჰიდროლიზატი).

კვლევის შემდეგ ეტაპზე შემუშავებული იქნა ქრისტესისხლას ლექტინის CBL-ის გამოყოფისა და გასუფთავების მეთოდი.

ცხრილი 2. ქრისტესისხლას თესლებიდან CBL -ის გამოყოფისა და გასუფთავების ძირითადი ეტაპები

CBL -ის გასუფთავების ძირითადი ეტაპები	CBL -ის ჰემაგლუტინაციური აქტივობა (მგ/მლ)	CBL -ის გასუფთავების ხარისხი
ექსტრაქტი	0.028	0
ამონიუმის სულფატით ფრაქციონირება	0.0094	2.98
თერმოდამუშავება	0.0028	25
აცეტონით დამუშავება	0.0011	176
ქრომატოგრაფია Toyopearl HW-55 -ის სვეტზე	0.00027	103
აფინური ქრომატოგრაფია ქიტინის სვეტზე	0.000022	1 272

$p<0.01$

როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, ქრისტესისხლას ლექტინის გასუფთავების ძირითადი ეტაპები მოიცავს 6 სტადიას: 1. თესლიდან ცილოვანი ექსტრაქტის მიღება; 2.ცილების ფრაქციონირება ამონიუმის სულფატით; 3.თერმული დამუშავება +60^{0}C-ზე 30 წთ-ის განმავლობაში. 4.აცეტონით დამუშავება, 5. ქრომატოგრაფია Toyopearl HW-55-ის სვეტზე; 6.აფინური ქრომატოგრაფია ქიტინის სვეტზე.

ცხრილი 2-იდან ჩანს, რომ გასუფთავების ყოველ მომდევნო ეტაპზე CBL-ის შემცველი ცილოვანი ფრაქციების ჰემაგლუტინაციური აქტივობა იზრდება. შესაბამისად იზრდება CBL-ის გასუფთავების ხარისხი. გასუფთავების ყოველ შემდგომ ეტაპზე ჰემაგლუტინაციური აქტივობა შესაბამისად იზრდება 2.98, 25, 176, 1 272- ჯერ და გასუფთავების ბოლო ეტაპის შემდეგ CBL-ის აქტივობა შეადგენა 0.000022 მგ/მლ, ხოლო გასუფთავების ხარისხი 1 272 -ჯერ გაიზარდა.

კვლევის შემდგომ ეტაპზე, გელ-ფილტრაციის მეთოდის და საკალიბრო სტანდარტული ცილების (მარკერების) გამოყენებით,

დადგენილ იქნა აფინურად გასუფთავებული CBL-ის ნატიური მოლეკულური მასა. საკალიბრო მრუდის გათვლების მიხედვით დადგენილია, რომ ნატიური CBL-ის მოლეკულური მასა 34,000 Da.-ია.

CBL-ის მეოთხეული სტრუქტურის დასადგენად, ცდების შემდგომ ეტაპზე, ვახდენდით ნატიური CBL-ის მოლეკულების დენატურაციას ნატრიუმის დოდეცილსულფატის თანაობისას (CBL) და ვსაზღვრავდით მისი შემადგენელი სუბერთეულების მოლეკულურ მასებს და რაოდენობას.



სურ. 1. ლექტინი CBL-ის და სტანდარტული მარკერული ცილების პოლიაკრილამიდის გრადიენტულ გელში (10-25%) დისოციაციის პირობებში (SDS-ის თანაობისას) ელექტროფორეზის ელექტროფორეგრამა.

1. SDS მოლეკულური მასის მარკერები, მოლეკულური მასების დიაპაზონი 14,000–70,000 Da, გელში ჩატვირთული სინჯების მოცულობა 1-10 მკლ. (ხარის შრატის ალბუმინი - 66,000; ოვალბუმინი - 45,000; პეპსინი - 34,700; ტრიფსინოგენი - 24,000; β-ლაქტოგლობულინი -20,100; ლიზოციმი -14,200.
2. აფინური ქრომატოგრაფიით გასუფთავებული ლექტინი- CBL.
3. Toyopearl HW-55 სვეტზე, გელფილტრაციული ქრომატოგრაფიის შედეგად მიღებული ლექტინ CBL-ის შემცველი ცილების ფრაქცია.

როგორც სურ. 1-ზე წარმოდგენილი ელექტროფორეგრამა გვიჩვენებს, აფინური ქრომატოგრაფიის შედეგად გასუფთავებული CBL დისოცირებულ პირობებში მიგრირებს ერთი კომპაქტური ფრაქციის სახით, რაც ადასტურებს, რომ იგი წარმოადგენს

გასუფთავების შედეგად მოღებულ CBL-ის თანაბარი მოლეკულური მასის პოლიპეპტიდს (ტრეკი 2).

Log. Mol. Weight



Rf

სურ. 2. საკალიბრო მრუდი ლექტინი CBL და სტანდარტული მარკერული ცილებისათვის, აგებული პოლიაკრილამიდის გრადიენტულ გელში (10-25%) დისოცოაციის პირობებში (SDS-თანაობისას) ელექტროფორეზის შედეგად მიღებული ელექტროფორეგრამის მიხედვით.

სურ.2-ზე წარმოდგენილია ელექტროფორეგრამის მიხედვით აგებული საკალიბრო მრუდი, დადგენილ იქნა, რომ CBL-ის შემადგენელი სუბერთეულების მოლეკულური მასა თანაბარია და შეადგენს 17.000 Da.

ამრიგად დადგენილია, რომ CBL-ის ნატიური მოლეკულის მეოთხეული სტრუქტურა წარმოდგენილია დიმერის სახით და მისი მოლეკულური მასა შეესაბამება 34, 000 დალტონს, შედგება 2 თანაბარი მოლეკულური მასის მქონე სუბერთეულისაგან, მოლეკულური მასებით 17,000 დალტონი და მიეკუთვნება ჰოლოლექტინების კლასს.

კვლევის შემდგომ ეტაპზე შესწავლილ იქნა, ლექტინ CBL-ის ბიოქიმიური მახასიათებლები. ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად დადგენილ იქნა, რომ ლექტინი CBL თერმოსტაბილურია (ინაქტივირდება 60^0C-ზე). ლექტინური აქტივობა ვლინდება pH-ის ფართო დიაპაზონში (pH 5.5-დან pH 9.0-მდე) და მაქსიმალური აქტივობა აღინიშნება pH 7.0-8.0 ფარგლებში. ლექტინის ჰემაგლუტინაციურ აქტივობაზე, გავლენას არ ახდენს ორვალენტიანი იონები (Ca^{2+}, Mg^{2+}, Mn^{2+}).

სპეციალურ ცდებში შესწავლილ იქნა: ა) ქრისტესისხლას თესლში ლექტინების შემცველობის სეზონური დინამიკა. ბ) ქრისტესისხლას თესლის მიერ ლექტინების გარემომცველ არეში

სეკრეციის უნარი. გ) ქრისტესისხლას თესლის ლექტინის მიერ მიკროორგანიზმების აგლუტინაციის უნარი. დ) ქრისტესისხლას თესლის ლექტინის ანტიმიკრობული აქტივობა.

ექსპერიმენტების შემდგომ ეტაპზე, შესწავლილ იქნა ქრისტესისხლას თესლებში CBL-ის შემცველობის დინამიკა (HU) სეზონურობის მიხედვით. ლექტინების შემცველობას თესლებში ვსაზღვრავდით ერთი წლის განმავლობაში, ყოველ მე-3 თვეს. როგორც სურათ 3-დან ჩანს, CBL-ის შემცველობა ქრისტესისხლას თესლებში ივნისადან დაწყებული მაისის ჩათვლით, მნიშვნელოვნად მცირდება.



სურ 3. ქრისტესისხლას თესლებში ლექტინების შემცველობის სეზონური დინამიკა.

სპეციალურ ცდებში შესწავლილ იქნა, ქრისტესისხლას თესლში და მის გარემომცველ არეში, CBL-ის შემცველობის დინამიკა გაღივებიდან 25 დღის გამნმავლობაში. ჩატარებული კვლევის შედეგებით გამოვლენილი იქნა, რომ CBL-ის შემცველობა თესლებში მათი გაღივების მე-5, მე-10 და მე-15 დღეს ფაქტიურად უცვლელია და შეადგენს (LC=6045), გაღივების მე-20 დღიდან ფიქსირდება CBL-ის შემცველობის მკვეთრი შემცირება (LC=768) და აღწევს მინიმუმს 25-ე დღეს (LC=302). გაღივების სტადიაზე მყოფ თესლების გარემომცველ არეში კი, გაღივების მე-5, მე-10 და მე-15 დღეს CBL-ის შემცველობა არ ფიქსირდება. CBL-ის შემცველობა

გარემომცველ არეში დაფიქსირებული იქნა, მე-20 დღეს (LC=102), ხოლო მისმა მაქსიმალურმა მაჩვენებელმა 25-ე დღეს LC=2142 შეადგინა.

CBL-ის შემცველობის რეციპროკული დამოკიდებულება, ქრისტესისხლას თესლებში და მათ გარემომცველ არეში გაღივების 25 დღის განმავლობაში მიუთითებს, რომ გაღივების მე-20 დღიდან ადგილია აქვს CBL-ის სეკრეციას თესლებიდან გარემომცველ არეში.

ცელკეულ ექსპერიმენტებში შევისწავლეთ გაღივების სტადიაზე, თესლის გარემომცველ არეში გამოყოფილი ლექტინების გავლენა ფიტოპათოგენური ბაქტერიების: *Pectobacterium aroidae, Xanthomonas campestris* და *Agrobacterium tumefaciens* აგლუტინაციის უნარზე.

კონტროლი
ბაქტერია CBL-ის გარეშე



საცდელი
აგლუტინირებული ბაქტერია CBL-ის თანაობისას

სურ. 4. CBL-ის გავლენით ფიტოპათოგენური ბაქტერია-*Agrobacterium tumefaciens*-ის აგლუტინაციის ფიქსაცია ვიზუალური მიკროსკოპით (გადიდება 1200-ჯერ).

როგორც სურ. 4-დან ჩანს საკონტროლოში, სადაც CBL არ იყო გამოყენებული, შეინიშნება ბაქტერიის დიფუზური განლაგება, ხოლო საცდელში, CBL-ის თანაობისას აღინიშნება *Agrobacterium tumefaciens*-ის აგლუტინაცია. იგივე შედეგები იქნა მიღებული, ჩვენს მიერ გამოყენებული სხვა ფიტოპათოგენური ბაქტერიების მიმართაც.

პარარელურად, შევისწავლეთ გაღივების სტადიაზე თესლის გარემომცველ არეში ფიქსირებული ლექტინების გავლენა, ფიტოპათოგენური სოკოების: *Trichoderma viride* და *Fusarium oxsisporium*-ის აგლუტინაციის უნარზე, ვიზუალურად მიკროსკოპის გამოყენებით.



კონტროლი
სოკო CBL-ის გარეშე

საცდელი
აგლუტინირებული სპორები CBL-ის თანაობისას

სურ. 5. CBL-ის გავლენით გამოწვეული ფიტოპათოგენური სოკო-*Fusarium oxsisporium*-ის სპორების აგლუტინაცია. ვიზუალური ფიქსაცია მიკროსკოპით (გადიდება 400-ჯერ)

როგორც სურათიდან ჩანს, ქრისტესისხლას თესლის ლექტინი -CBL in vitro ექპერიმენტებში იწვევს ზოგიერთი ფიტოპათოგენური სოკოს სპორების ძლიერ აგლუტანაციას. მსგავსი შედეგები დაფიქსირდა *Trichoderma viride*-ს სპორების მიმართაც.

სპეციალურ ცდებში შესწავლილ იქნა CBL-ის ანტიმიკრობული აქტივობა დისკ-დიფუზიური მეთოდით ფიტოპათოგენურ ბაქტერიებსა და სოკოების ტესტ კულტურებზე. ექსპერიმენტებში ანტიმიკრობული აქტივობის დასადგენად, გამოყენებული იქნა გაუღივებელი და გაღივებული თესლებიდან და გაღივების მე-20 დღიდან გარემომცველი არიდან გამოყოფილი CBL.

ცხრილი 3. ქრისტესისხლას თესლების გაუღივებელი და გაღივებული თესლებიდან, და გაღივების მე-20 დღიდან გარემომცველი არიდან გამოყოფილი CBL-ის ანტიმიკრობული აქტივობა.

მიკროორგანიზმები ბაქტერია / სოკო	**CBL -ის ანტიმიკრობული აქტივობა** (დათრგუნვის ზონები მმ-ში)		
	გაუღივებელი თესლებიდან იდენტიფიცირებული **CBL**	გაღივებული (25დღე) თესლებიდან იდენტიფიცირებული **CBL**	თესლების გაღივების (25 დღე) გარემომცველ არიდან იდენტიფიცირებული **CBL**
Pectobacterium aroidae	+	+	+
Xanthomonas campestris	+	+	+
Agrobacterium tumefaciens	+	+	+
Trichoderma viride	+	+	+
Fusarium oxsisporium	+	+	+

ცხრილი 3-ში წარმოდგენილი მონაცემები გვიჩვენებენ, რომ გაუღივებელი და გაღივებული თესლებიდან, და გაღივების მე-20 დღიდან გარემომცველი არიდან იდენტიფიცირებულ CBL-ს გაჩნია ანტიმიკრობული აქტივობა, ყველა ექსპერიმენტში გამოყენებული ბაქტერიული ტესტ კულტურების და სოკოს შტამების მიმართ, მონაცემები მიუთითებენ, რომ სამივე წყაროდან იდენტიფიცრებულ CBL-ს გააჩნია პრაქტიკულად იდენტური ანტიმიკრობული აქტივობა.

მიღებული შედეგები გვიჩვენებენ, რომ ქრისტესისხლას თესლები გაღივების მე-20 დღიდან ახდენენ CBL-ის სეკრეციას გარემომცველ არეში და გააჩნიათ ფიტოპათოგენური ბაქტერიების *Pectobacterium aroidae, Xanthomonas campestris, Agrobacterium tumefaciens* და სოკოების *Trichoderma viride*-ს და *Fusarium oxsisporium*-ის აგლუტინაციის, მათი ზრდისა და გამრავლების და დათრგუნვის უნარი. წარმოდგენილი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქრისტესისხლას თესლის CBL-ის ანტიმიკრობული მოქმედების მოლეკულური მექანიზმებისა და მისი მცენარეში ენდოგენური ბიოლოგიური ფუნქციის კერძოდ, ქრისტესისხლას თესლის (გაღივების სტადიაზე) ფიტოპათოგენური მიკროორგანიზმებისაგან დაცვის ფუნქციების შესახებ.

ამრიგად ქრისტესისხლას თესლის ლექტინი, მიეკუთვნება მცენარეული ანტიმიკრობული ცილების (AMP) კლასს და სავარაუდოთ ასრულებს, მცენარის ფიტოფათოგენური მიკროორგანიზმებისაგან დამცავ ფუნქციას. მიღებული შედეგები გვაძლევენ საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ბუნებრივ პირობებში ქრისტესისხლას თესლის ლექტინის დამცველობითი როლი უნდა გამოიხატებოდეს, გაღივებადი თესლების დაცვაში ნიადაგში არსებული ფიტოპათოგენური მიკროორგანიზმების მავნე მოქმედებისაგან.

დასკვნები

1. დადგენილია ზრდასრული მცენარე ქრისტესისხლადან, ლექტინური აქტივობის მქონე ხსნადი ცილების ექსტრაქციის ოპტიმალური პირობები. საექსტრაქციო ხსნარში PBS+0,5mM β-მერკაპტოეთანოლამინი (pH 7,4), მაქსიმალურად ხდება CBL-ის ექსტრაქცია, რაც სხვა გამოყენებულ ხსნარებს 10-ჯერ აღემატება.
2. ნაჩვენებია, რომ ქრისტესისხლას ყვავილები, ფესვები, ღეროები, ფოთლები და ღეროს ნარინჯისფერი წვენი არ შეიცავს ჰემაგლუტინაციური აქტივობის მქონე ცილა-ლექტინებს. ლექტინები აღმოჩენილი იქნა მხოლოდ ქრისტესისხლას თესლებში.
3. დადგენილია ქრისტესისხლას თესლში CBL ლექტინის შემცველობის სეზონური ხასიათი. ყველაზე მაღალი შემცველობა აღინიშნება მაისსა და ივნისში, ხოლო მარტსა და აპრილში მკვეთრად მცირდება.
4. მიღებული შედეგებით დასტურდება, რომ ქრისტესისხლას თესლები გაღივების მე-20 დღიდან ახდენენ CBL-ის სეკრეციას გარემომცველ არეში და იწვევენ ფიტოპათოგენური ბაქტერიების *Pectobacterium aroidae, Xanthomonas campestris, Agrobacterium tumefaciens* და სოკოების *Trichoderma viride*-ს და *Fusarium oxsisporium*-ის აგლუტინაციას, შედეგად კავდება მათი ზრდა და გამრავლება.
5. დადგენილია ქრისტესისხლას თესლის შაქარსპეციფიკურობა. გამოცდილი 20 შაქრიდან ის სპეციფიკურობას ავლენს, მხოლოდ

ქიტინის (პოლი-N-აცეტილ-D-გლუკოზამინი) მიმართ. ე. ი. CBL ქიტინ-სპეციფიკური ლექტინების ჯგუფს განეკუთვნება.

6. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქრისტესისხლას - CBL ლექტინი, შესაძლებელია გამოყენებული იყოს, ფიტოპათოგენური ბაქტერიებისაგან დაცვის მიზნით.
7. დადგენილია ქრისტესისხლას თესლის ლექტინის გამოყოფისა და გასუფთავების მეთოდები: თესლიდან ცილოვანი ფრაქციის ექსტრაქცია; ქრომატოგრაფია Toyopearl HW-55-ის სვეტზე; სვეტიდან ელუირებული CBL–ის შემცველი ცილების ფრაქციონირება ამონიუმის სულფატით; ლექტინური აქტივობის თერმოსტაბილურობა, რომელიც +60^{0}C-ზე 30 წთ-ის განმავლობაში ინარჩუნებს აქტივობას; აცეტონით დამუშავება; აფინური ქრომატოგრაფია ქიტინის სვეტზე. მეთოდები საშუალებას იძლევა მიღებული ლექტინი გამოყოფილი იქნას ინდივიდუალური მოლეკულის სახით.
8. დადგენილია, რომ მისი ნატიური მოლეკულის მეოთხეული სტუქტურა წარმოდგენილია დიმერის სახით. მისი მოლეკულური მასა 34,000 Da-ია, შედგება 2 თანაბარი 17,000 Da მოლეკულური მასის მქონე სუბერთეულისაგან, არ შეიცავს ნახშირწყლებს და მიეკუთვნება ჰოლოლექტინების კლასს. ლექტინური აქტივობა ვლინდება pH-ის ფართო დიაპაზონში (pH 5.5-დან pH 9.0-მდე) და მაქსიმალური აქტივობა აღინიშნება pH 7.0-8.0 ფარგლებში, ლექტინის ჰემაგლუტინაციურ აქტივობაზე გავლენას არ ახდენს ორვალენტიანი მეტალის იონები (Ca^{2+}, Mg^{2+}, Mn^{2+}).

დისერტაციის თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხა

1. Maia Khurtsidze, Nugzar Aleksidze, George Alexidze ,,Isolation of new lectins from the greater celandine plant (*Chelidonium majus* L.), study of their properties and disstribution within the plant.''Georgian national academy of sciences. vol. 7, no.3, 2013.

2. Maia Khurtsidze, Nugzar Aleksidze, George Alexidze ,,Partial Purification and Biochemical Characteristics of Lectin CBL-1 Isolated from the Greater Celandine (*Chelidonium majus* L.) Plant'' Georgian national academy of sciences. vol. 8, no.3, 2014.

3. Maia Khurtsidze, Nugzar Aleksidze, George Alexidze .,Antimicrobial Activity of Greater Celandine (*Chelidonium majus* L.) Plant Seed Lectin'' Georgian national academy of sciences. vol. 9, no.3, 2015.

4. G. Alexidze, M. Khurtsidze, N. Aleksidze. Purification and Characterization of Novel Lectin from the *Chelidonium majus* with Antimicrobial Activity. Horizons in Cancer Research. (ბეჭდვაშია).

5. მაია ხურციძე, გიორგი ალექსიძე., სამკურნალო მცენარე ქრისტესისხლას (*Chelidonium majus*) ლექტინის გამოყოფა, გასუფთავება და მისი ზოგიერთი ბიოქიმიური თვისებების შესწავლა **სამეცნიერო კონფერენცია** „ბიოლოგიისა და ბიომედიცინის აქტუალური პრობლემები“, 31 მაისი, 2012, გვ. 30.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

On the Manuscript Rights

School(Departament) of Informatics, Mathematics and Natural Sciences

Biotechnology

Maia Khurtsidze

Biochemical Characterisation, Physiological role and Biological Activity of the *Chelidonium majus* Chitin-specific Lectin

Of thesis on academic degree of Doctor of Biology Sciences

Abstract

0,5 Natural Sciences Branch 0504 Biology/Life Sciences

Tbilisi

2017

This scientific paper has been performed in the School (Departament) of Informatics, Mathematics and Natural Sciences of the St. Andrew the First-called Scientific University at the Georgian Patriarchate. Biotechnology

Scientific Supervisor: **1. Giorgi Alexsidze**

Doctor of Biological Sciences, professor

Official Opponents: **1. Zurab Lomtatidze**

Doctor of Biological Sciences, professor

2. Elene Davitashvili

Doctor of Biological Sciences, professor

Defense of the thesis will be held on 2017,,10“ february at 14^{00} o’ clock, at the St. Andrew the First-called Scientific University at the Georgian Patriarchate School (Department) of Informatics, Mathematics and Natural Sciences at the School’s (Department’s) Dissertation committee meeting.

Address: 0162, Tbilisi # 53^{a} Ilia Chavchavadze Ave., II Housing, I. Vekua auditorium №104.

Dissertation text is available at the St. Andrew the First-called Scientific University’s Library at the Georgian Patriarchate.

The abstract of the thesis is sent on 2017 ,,10” January.

Secretary of Dissertation Council, Doctor of Sciences

Doctor of Technical Sciences

Teimuraz kiviladze

References

Short Description of the Work

General Features of the Research----------25
Main Objective and Tasks of Study----------26
Scientific Novelty and Main Results of the Research----------27

Theoretical and Methodological Basis of the Research.----------28
Theoretical Value of the Research----------28
Practical Value of the Research----------29

General Contents of the Research

Chapter 1. Literature review----------29
Chapter II. Subject and Methods of the Research

Subject of the Research----------29

Chapter III. The Results and Their Discussions ----------31
Conclusions----------39
References----------40

General Features of the Research

Actuality of the topic

